საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №50/271-18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

სს „-- --“ გენერალური დირექტორის -- -- 2018 წლის 25 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 მარტის №50/271-18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის დანაწესი და საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო ერთი დღით. ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღის გადადების შესახებ.

დადგენილება მხარეს გაეგზავნა ნაცვლად კანონმდებლობით დადგენილი 3 დღისა - 20 დღის დაგვიანებით. აღნიშნულით დაირღვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მულის დანაწესი და მხარეს შეეზღუდა გასაჩივრების უფლება.

-- სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება რომ გასაჩივრების ვადა მხარემ საპატიო მიზეზით გაუშვა და საჩივარი -- -- სასამართლოს დადგენილებაზე დატოვა განუხილველად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 26 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის -- -- -- -- სასამართლოში განსახილველად შევიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე სს „-- --“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 79^2 მუხლებით, რომლის მიხედვით 2017 წლის 06 დეკემბერს -- -- მომხდარი ხანძრის დროს სს „-- --“ დარღვეული ჰქონდა -- --, -- -- დასახლებაში განთავსებული -- -- -- 2017 წლის 16 ნოემბერს გაცემული №-- გარემოზე ზემოქმედების ნებართვით (-- წლის -- №-- ეკოლოგიური

ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობები, რითაც გამოიწვია -- -- დაბინძურება. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა --.-- ლარი.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 05 მარტის განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმეზე დაინიშნა -- -- ექსპერტიზა; ექსპერტიზის ჩატარება დაევალა სსიპ -- -- -- --.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 31 მაისს საქმეზე ჩატარდა სხდომა და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადადო 2018 წლის 01 ივნისს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებით სს „-- --“ (ს/კ --, მისამართი: --, -- -- №--), ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით, 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 79^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და საბოლოოდ ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2 მუხლით, ჯარიმა - 5,000 (ხუთი ათასი) ლარი; სს „-- --“ (ს/კ --) დაეკისრა -- -- ზიანის ანაზღაურება -- ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განემარტა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადება არ ათავისუფლებს მას იმ მოვალეობის შესრულებისაგან, რომლის შეუსრულებლობისათვისაც მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი.

მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტის თანახმად სს „-- --“ დადგენილება გაეგზავნა 2018 წლის 04 ივნისს, ხოლო საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის შესაბამისად, კორესპოდენციის გაგზავნის თარიღად მითითებულია 19 ივნისი, რომელიც ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაბარდა 20 ივნისს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებაზე სს „-- --“ საჩივარი წარადგინა 2018 წლის 27 ივნისს, რომლითაც მოითხოვა დადგენილების გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენა, იმ საფუძვლით, რომ მოსამართლემ საქმის განხილვისთანავე არ გამოაცხადა დადგენილება და დადგენილების ასლი ნაცვლად სამი დღისა, ჩააბარა 20 დღის შემდგომ. საჩივრის ავტორმა, ასევე მოითხოვა გასაჩივრებული დადგენილების ნაწილობრივ გაუქმება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის დადგენილებით (მოსამართლე -- --) სს „-- --“ საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილებაზე დარჩა განუხილველი.

2.2. მოსამართლე -- -- 2019 წლის 30 იანვარს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოადგინა ინფორმაცია, სადაც აღნიშნა, რომ სს „-- --“-ს წარმომადგენელს, მიმართვის შემდეგ იმავე დღესვე ჩაჰბარდა მოტივირებული დადგენილება. საჩივარში მითითებულ საპროცესო ნორმების დარღვევის შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდა დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის ეს დანაწესი მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმეზე ასევე მოთხოვნილი იყო გარემოზე (სახელმწიფოზე) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის საფუძველზე გადადო დადგენილების გამოცხადება. ამდენად, საჩივრის ავტორის მოსაზრება დადგენილების დაუყოვნებლივ გამოცხადების შესახებ მოკლებულია სამართლებრივ მოტივაციას.

მოსამართლე უსაფუძვლოდ მიიჩნევს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან 3 დღის ვადაში არ ჩაბარდა დადგენილება მას წაერთვა დადგენილების გასაჩივრების უფლება. უსაფუძვლობას მოსამართლე ადასტურებს მოსამართლის თანაშემწის -- -- განმარტებით და აღნიშნავს, რომ უდავოდ დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილების

სარეზოლუციო ნაწილის შესახებ იმავე დღეს ეცნობა სს „-- --“-ს წარმომადგენელს და მისთვის ცნობილი იყო გასაჩივრების ვადა და წესი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

სს „-- --“ გენერალური დირექტორის -- -- 2018 წლის 25 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების საკითხს არ არეგულირებს. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა გადაწყვეტილება, განმარტავს მისი გასაჩივრების წესსა და ვადას. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე ასევე უფლებამოსილია, განუმარტოს მხარეებს გადაწყვეტილების შინაარსი და მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმეზე სხდომა -- -- სასამართლოში 2018 წლის 31 მაისი ჩატარდა და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2018 წლის 01 ივნისს. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საქმეზე ასევე მოთხოვნილი იყო გარემოზე (სახელმწიფოზე) მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის საფუძველზე გადადო დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, რაც სრულ

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლი ისე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი გარკვეულ შემთხვევებში სამართალწარმოების დროს სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილი იყო საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაედო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადებასა და დადგენილების მხარეთათვის ჩაბარების საკითხს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება ან გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ 31 მაისის სხდომაზე გამოაცხადა შესვენება და აღნიშნა, რომ საქმის განხილვა გაგრძელდებოდა 01 ივნისს 13:00 საათიდან, რაზეც მხარემ განაცხადა, რომ -- ჰქონდა პროცესი და დასწრებას ვერ შეძლებდა, თუმცა სხდომის გადადების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. მოსამართლემ სხდომაზე მხარეს განუმარტა, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროს სხდომაზე დასწრება არ იყო სავალდებულო. შესაბამისად, მხარის შუამდგომლობის არ არსებობისა და სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროს მხარის დასწრების არასავალდებულოობის პირობებში მოსამართლე უფლებამოსილი იყო 01 ივნისს გამოეცხადებინა მიღებული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი.

მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილება მხარეს უნდა ჩაბარებოდა ან გაგზავნოდა 5 ივნისამდე. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტის თანახმად სს „-- --“ დადგენილება გაეგზავნა 2018 წლის 04 ივნისს, ხოლო საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის შესაბამისად, კორესპოდენციის გაგზავნის თარიღად მითითებულია 19 ივნისი, რომელიც ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაბარდა 20 ივნისს. ამდენად, ნაცვლად დადგენილი 3 დღისა მხარეს დადგენილება ჩაბარდა 16 დღის შემდეგ. რაც შესაძლოა შეიცავდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

ამასთან, ყურადღება უნდა გავამახვილოთ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის დადგენილებით პალატამ სს „-- --“ საჩივარი განუხილველად დატოვა. პალატამ მიიჩნია, რომ -- -- სასამართლომ 2018 წლის 31 მაისს დაასრულა მხარეთა მოსმენა. მოსამართლემ განმარტა, რომ გამოაცხადებდა დადგენილებას 2018 წლის 01 ივნისს. აღნიშნულ პროცედურას ესწრებოდა სს „-- --“ წარმომადგენელი -- -- და ხელმოწერით დაადასტურა 2018 წლის 01 ივნისს დადგენილების გამოცხადების შესახებ ინფორმირებულობა. -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის დადგენილების გასაჩივრების ვადა იწურებოდა 2018 წლის 11 ივნისს. პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან სს „-- --“ წარმომადგენელი -- -- ესწრებოდა საქმის განხილვას და ხელმოწერით დაადასტურა 2018 წლის 01 ივნისს დადგენილების გამოცხადების შესახებ ინფორმირებულობა, მას დადგენილების გასაჩივრების ათდღიანი ვადა, სწორედ დადგენილების გამოტანიდან უნდა აეთვალა. ამდენად, აპელანტის მიერ მითითებული არგუმენტი სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „-- --“ დადგენილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა გაშვებული ჰქონდა. ამდენად, დადგენილების ვადის

დარღვევით ჩაბარება თავის მხრივ დაკავშირებულია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრის განუხილველად დატოვებასთან, რაც მხარის გასაჩივრების უფლების შეზღუდვაზე მიუთითებს.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საკმარის საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ ცხრა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით დ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №50/271-18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი